პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

სამშაბათი, 9 თებერვალი 1926 წ. წელიწადი მეხუთე ფასი 3 კ.

# წითელი მეომარი

29 (1024) | 1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განების ყოველდღიური გაზეთი

რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა ელხმენი 2—24
განცხ. ფასი პირ. გვ. 80 კ. სტ. 4 გვ. 40 კ.

## განვამტკიცოდ ურთი-ერთ კავშირი.

ამ ახლო ხანში დაიწყება თადარიგის უფროსთა შემადგენლობის ხელახალი აღრიცვა, რომლის მთავარი მიზანია გამორკვეულ იქნას თადარიგის მეთაურთა საერთო რიცხვი და მათი ხარისხიანობა. გარდა ამისა ამ ხელახალი აღრიცხვის მიზანია განამტკიცოს ხსენებული უფროსთა შემადგენლობის კავშირი წითელ არმიის ძირითად ნაწილებთან.

დღემდე თადარიგის მეთაურების კავშირი ჩვენს ნაწილებთან არის ძლიერ სუსტი. იმათმა არ იციან, თუ როგორია ამ ჟამად წითელი არმიის აღმშენებლობა და მისი ყოფა-ცხოვრება.

წითელი არმიის აღმშენებლობის საქმე დღითი დღე წინ მიიწევს. მას შემდეგ, რაც თადარიგის უფროსთა შემადგენლობა—მეთაურები წავიდენ არმიიდან, წითელი არმიის ცხოვრება საგრძნობლად შეიცვალა და შეტანილ იქნა ბევრი ახალი მის ცხოვრებაში. წითელ არმიაში ამ ჟამად შემოღებულია ახალი წესდებები, სწავლების ახალი მეთოდები, ბრძოლის ტეხნიკური საშუალებები და სხვა.

ყოველივე ეს კარგად უნდა იცოდეს თადარიგის უფ-შემადგენლობამ. თადარიგის მეთაურებმა კარგად უნდა შეისწავლონ წითელი არმიის ცხოვრება და გაიგონ დღევანდელი მისი თავისებურებანი.

აი რა არის აუცილებელი და გადაუდებელი ამოცანა და რას უნდა მივაღწიოთ ამ ხელახალი აღრიცხვის დროს. წითელი არმიის რიგებთან კავშირის განმტკიცებას და მისი ცხოვრების შესწავლას განსაკუთრებული ყურადღებით უნდა მოეკყრან ის მეთაურებიც, რომლებმაც თავიანთ ზურგზე გადაიტანეს სამოქალაქო ომის მთელი სიმძიმე, და ამ ჟამად აღარ იმყოფებიან წითელარმიაში.

რა საშუალებით უნდა ხდებოდეს თადარიგის მეთაურების დაკავშირება ჩვენს ნაწილებთან? ამისათვის უპირველეს ყოვლისა საჭირო იქნება ხსენებული მეთაურების მიზიდვა სამხედრო-სამეცნიერო საზოგადოებების მუშაობაში, ურთი-ერთ შორის წერილების მიწერ-მოწერისა და ნაწილებში ხშირად მოსვლის საშუალებით. თადარიგის მეთაური წითელი ყაზარმის კარგი და ხშირი სტუმარი უნდა იყოს და ამ საშუალებით უნდა ამყარებდეს მტკიცე კავშირს ნაწილთან და ეცნობოდეს მის აღმშენებლობას.

ჩვენ გვწამს, რომ თადარიგის მეთაურები პირნათლად მოიხდიან თავიანთ მოვალეობას, უკლებლად გამოცხადდებიან სათანადო ადგილებზე ხელახალი აღრიცხვისათვის და მომავალში კი განამტკიცებენ კავშირს ჩვენს ნაწილებთან.

## „ბოროტმოქმედების შვეიცარიზაცია"1)

(„იზვესტიას" წერილი).

ამ სათაურით გაზეთ „იზვესტიაში" მოთავსებულია მოწინავე, რომელშიაც ნათქვამია: „ჯერ კიდევ არ გაციებულა თავის საგუშაგოზე დაღუპულ საბჭოთა დიპლომატიურ შიკრიკის გვამი, ჯერ კიდევ არ გამშრალა ამხანაგის სისხლი, რომელმაც გმირულად დაიცვა და უვნებლად მიიტანა დიპლომატიური ფოსტა, ჯერ კიდევ არ გაწყნარებულა საბჭოთა კავშირის მშრომელთა პირველი აღშფოთების ხმები, რომ მოხდა კვლავ ახალი ბოროტმოქმედება, და ამ შემთხვევაში არა გამოძებნილ მკვლელების, არამედ ლატვიის მთავრობის მიერ თავისი მოულოდნელი ოფიციალური განცხადებით.

ეს—ესაა დაიწყო გამოძიება, ე. ი. ჯერ კიდევ არ იციან თუ ვინაა მკვლელები—მკვლელები ნიღაბებში, ხოლო ლატვიის მთავრობამ დაჩქარებით განაცხადა ოფიციალურად, რომ თავდასხმას ჰქონდა წმინდა სისხლის სამართლის ხასიათი.

ვის დასჭირდა ასეთი მოულოდნელი აჩქარება? ვის სჭირდება კვალის მიფუჩეჩება?

განა შეიძლება საყვედური განაცხადოს ვინმემ აღელვებულ საბჭოთა საზოგადოებრივი აზრის წინაღმდეგ, თუ რომ ის იცნობს ყველა ამ ფაქტებს, როგორც კვალის მიმართვას წინასწარ დასახულ ყალბი გზით.

ჩვენ გადაჭრით მოვითხოვთ სრულიად დაკმაყოფილებულ იქნას საბჭოთა საზოგადოებრივი აზრი, ჩვენ გადაჭრით მოვითხოვთ ყოველმხრივ და მიუდგომლად გამოძიებულ იქნას უმაგალითო ბოროტმოქმედება და გამომჟღავნებულ იქნან საბოლოოდ მისი სულის ჩამდგმელები, მომწყობნი და მონაწილენი.

გამცემლური პოლიტიკას ხელმძღვანელებს, როგორც სჩანს დღემდისაც ვერ წარმოუდგენიათ ის აღშფოთება, რომლითაც სავსეა საბჭოთა ქვეყნის მოქალაქეთა გული. დეე, ჩაუფიქრდეს ამას ლატვიის მთავრობა.

ჩვენ კი გამოვიტანთ ყველა აუცილებელ დასკვნებს როგორც ბოროტმოქმედების თვით ფაქტიდან, ისე მისი „შვეიცარიზაციის" ბოროტი ცდებისაგან".

1) „შვეიცარიზაცია" აქ ნახმარია ბოროტმოქმედების მიფუჩეჩების ცდების მნიშვნელობით. მსგავს მაგალითს ადგილი ჰქონდა ამ რამოდენიმე ხნის წინად შვეიცარიაში, სადაც მოკლულ იქნა საბჭოთა კავშირის წარმომადგენელი ვოროვსკი. შვეიცარიის მთავრობაც ასევე სცდილობდა მიეფუჩეჩებია ბოროტმოქმედების კვალი, ხოლო ბოლოს კი მკვლელი სრულიად გაამართლა.

# ახალი რადიო ამბები

## საბჭოთა დიპ. შიკრიკებზე თავდასხმის შესახებ

### ლატვიის მთავრობა ცდილობს კვალის მიფუჩეჩებას

ლატვიის მთავრობამ არც კი მოუცადა გამოძიების შედეგებს და თვით მკვლელობის ვინაობის გამომჟღავნებამდის უტიფრად განაცხადა, რომ დიპლომატიურ შიკრიკებზე თავდასხმა სისხლის სამართლის ხასიათისაა და მიზანი მხოლოდ გაძარცვა იყო.

ყველა ისინი, ვინც ამ შემთხვევას დაესწრენ, ამტკიცებენ, რომ თავდასხმა სულ სხვა მიზნით იყო მოწყობილი. თავდამსხმელებმა თურმე, როცა გააღეს იმ ოთახის კარები ვაგონში, სადაც შიკრიკები იმყოფებოდენ, პირდაპირ მიუთითეს საბჭოთა შიკრიკებს და წამოიძახეს: „აი, აქ არიან". ცხადია თავდამსხმელებს სახეში ჰქონდათ მხოლოდ საბჭოთა შიკრიკები.

იქ დამსწრეები აღნიშნავენ აგრეთვე, რომ ლატვიის პოლიცია, რომელიც იქვე მესამე ვაგონში იყო და მიმართეს დახმარებისთვის, ადგილიდან არ დაძრულა და არავითარი ზომები არ მიუღია დასახმარებლად.

### ნეტტეს გამოსვენება.

6 თებერვალს ქ. რიგიდან გამოასვენეს დიპლომატიური შიკრიკ ნეტტეს ცხედარი. ნეტტეს გვამი ჩასვენებულია წითელ კუბოში. საელჩოდან სადგურზე ცხედრის გადმოსვენებას ლატვიის მთავრობის წარმომადგენელი არ დასწრებია.

## იაპონიის მშრომელთა ერთიანი ფრონტი

იაპონიის გაერთიანებულ პროფკავშირთა კონფერენციამ გამოაქვეყნა მანიფესტი.

მანიფესტი მოუწოდებს მუშებსა და გლეხებს გაერთიანდენ და შექმნან კლასობრივი მუშურ-გლეხური პარტია; მოითხოვენ გაშვებულ იქნას პარლამენტი და მოხდეს ახალი არჩევნები, სადაც წამოყენებულ უნდა იქნას მუშათა კანდიდატები და სხვა.

## გერმანია და ერთალიგა

გერმანიის ცალკე სახელმწიფოების პრეზიდენტებისა და პრემიერ მინისტრების თათბირმა მხარი დაუჭირა გერმანიის ერთალიგაში შესვლის საკითხს.



## კაშენს 15 თვის ციხე მიუსაჯეს

საფრანგეთის კომუნისტების ბელადმა დადეპუტატთა პალატის წევრმა კაშენმა შეადგინა მოწოდება შეიარაღების გაძლიერების წინაღმდეგ. ამისთვის კაშენი მიცემულ იქნა პასუხისგებაში და სასამართლომ მიუსაჯა მას 15 თვის ციხე და 2.000 ფრანკი(37 კ.) ჯარიმა.

## მშვიდობიანობის ქვაკუთხედი შორეულ აღმოსავლეთში

იაპონიის ერთმა გამოჩენილ საზოგადოებრივ მოღვაწემ გოტომ საბჭოთა დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა:

„რუსეთსა და იაპონიას შორის მეგობრული ურთიერთობა მშვიდობიანობის ქვაკუთხედია შორეულ აღმოსავლეთში. იაპონიის საარსებო საჭიროება—ეს არის ჩინეთის მშვიდობიანობა და მთლიანობა, ამ მიზნის მიღწევა კი შეიძლება საბჭოთა კავშირსა და იაპონიას შორის მტკიცე შეთანხმების გზით".

ჩინეთ-აღმოსავლეთის რკინის გზაზე მომხდარ ამბების შესახებ გოტომ განაცხადა, რომ საკითხები, რომლებმაც გამოიწვია განხეთქილება, ჯერ კიდევ არაა საბოლოოდ მოგვარებული.

თავიდათავი ისაა, რომ მოხდეს საბოლოო შეთანხმება არა მარტო ჩინეთსა და საბჭოთა კავშირს შორის, არამედ იაპონიასა და ამ ორ ქვეყანას შორის.

# საბჭოთა კავშირში

## ჩვენი სავაჭრო ფლოტი საგრძნობლად ძლიერდება.

როცა მსოფლიო ომის ნგრევის შემდეგ პირველად დაიწყო მუშაობა საბჭოთა სავაჭრო ფლოტმა, მისი სავარგისი გემების რიცხვი უდრიდა 51-ს.

ამ ჟამად საბჭოთა სავაჭრო ფლოტს ჰყავს 113 გემი. ნაციონალიზაციის მერვე წლის თავამდი, მიუხედავად თავისს მცირე რიცხვისა, საბჭოთა სავაჭრო გემები საბჭოთა ფლაგით დადიან თითქმის მთელი ქვეყნების ყველა ზღვებზე და წლითი—წლობით აძლიერებენ მუშაობას.

## საგანგებო პარტკონფერენციები.

ჩატარდა საგანგებო პარტკონფერენციები ლენინგრადისა და ვოლოდარსკის რაიონებში, მოხსენებით მე-14 ყრილობის ანგარიშების შესახებ გამოვიდენ კიროვი და მოლოტოვი. კამათში მონაწილეობდენ ბუხარინი და კალინინი. კონფერენციებმა გამოიტანეს რეზოლიუციები, რომლებშიაც იწონებენ ცეკას ხაზს და ჰგმობენ ლენინგრადის დელეგაციის გამოსვლებს ყრილობაზე. ხელახალ არჩეულ სარაიონო პარტორგანოების შემადგენლობაში ოპოზიციონერები (ცეკას ხაზის მოწინააღმდეგენი) არ არიან.

# სახელმწიფო მრეწველობა სოციალისტური აღმშენებლობის ბერკეტია.

სოფელს შეუძლია კომუნიზმისკენ წავიდეს მხოლოდ მსხვილი მეურნეობის გზით. წვრილ მწარმოებელს არ შეუძლია გასცილდეს კაპიტალიზმის წინა ფორმების საზღვრებს.

აი რატომ ვსთვლით ჩვენ მსხვილ მრეწველობას სოციალისტურ აღმშენებლობის მთავარ ბერკეტად. მოსახლეობის საყოველთაო ჩაბმა კოოპერაციაში — ეს არის სოციალიზმი — გვასწავლიდა ლენინი. იმავ დროს ლენინი ხშირად გვაგონებდა, რომ კოოპერაცია უნდა ეყრდნობოდეს მსხვილ მრეწველობას.

მართლაც, რა ფასი აქვს კოოპერაციას, თუ მას ზურგს არ უმაგრებს მსხვილი წარმოება.

რომ შექმნილ იქნას სასოფლო მეურნეობაში განვითარების გზით მიმავალი საწარმოო კოოპერაცია (კომუნა, მიწის შეერთებულად დამმუშავებელი ამხანაგობა და სხვა). აუცილებელია შემოღებულ იქნას შედარებით უფრო მაღალი ტეხნიკა, ე. ი. მანქანები და გაუმჯობესებული იარაღები, რომელთა ხმარება ხელსაყრელია მხოლოდ მსხვილ მეურნეობაში.

თუ მრეწველობა სუსტია, კოოპერაცია დამოკიდებული ხდება უცხოეთზე ანდა იბოგინებს მეტად უნუგეშო მდგომარეობაში.

საჭიროა ქვეყნის მრეწველობის გაძლიერება, რათა კოოპერაცია, კოლექტიურ მეურნეობათა სახით, ძლიერდებოდეს და ამ რიგად გადადიოდეს გლეხობა თანდათანობითი სოციალიზმის გზაზე.

მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ მომხმარებელი და გამსაღებელი კოოპერაცია იზრდებიან საწარმოო კოოპერატიულ დაწესებულებებით. კარგი გამსაღებელი კოოპერაცია ეწყობა საკუთარი ქარხნებით, ხოლო მომხმარებელი ჰქმნის ახალ წარმოებას კოოპერაციაში შეკავშირებულ მოსახლეობის საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად.

როგორც ერთის, ისე მეორეს განვითარება დამოკიდებულია მრეწველობაზე.

თუ რომ მრეწველობა ძლიერდება, თუ რომ ის იძლევა კარგსა და იაფ საქონელს, მომხმარებელი კოოპერაცია იზიდავს თანდათან მუშების, გლეხების, შინამრეწველების და მოსამსახურეთა ახალ-ახალ მილიონებს. გამსაღებელი კოოპერაცია მით უფრო წარმატებით ასაღებს საქონელს, რამდენადაც ის მეტად სჭირდება მრეწველობას. მრეწველობა აძლევს გამსაღებელ კოოპერაციას კარგ ტრანსპორტს, საცივებლებსა და სხვა.

შინა-მრეწველობის კოოპერაცია ეწყობა კარგი ხელსაწყოებით, დაზგით, მამოძრავებელით, თუ რომ მრეწველობა ამზადებს ყოველივე ამას.

მრეწველობის ზრდა ნიშნავს ელექტროფიკაციის განვითარებას, რომელიც საუკეთესო დასაყრდნობია თანდათანობითი სოციალიზმისთვის.

მრეწველობის განვითარება ამაღლებს სახელმწიფოს სამხედრო ძლიერებას და ამით ხელს უწყობს ქვეყნის მშვიდობიანობას, რაიც თავის მხრივ ხელს უწყობს საწარმოო ძალთა განვითარებას და ქვეყნის წინსვლას კომუნიზმისაკენ.

მრეწველობა აძლევს სკოლებს სახელმძღვანელოებს, ფანქრებს და სხვა საჭირო სასწავლო საგნებს, ხოლო საბჭოთა რეჟიმში წერა-კითხვის ცოდნის ზრდა—სოციალიზმის ზრდაა.

მრეწველობა იძლევა სააღმშენებლო მასალას ბინების, საწყობებისთვის და სხვა.

ის თანდათანობით ჰქმნის მექანიკურ სამრეცხაოებს, სასადილოებსა და სხვა. ყველაფერი ეს საბჭოთა ძალა-უფლების დროს ნიშნავს სოციალიზმის აღმშენებლობას.

მაშასადამე, რაც არ უნდა იქნას, ჩვენ უნდა გავაძლიეროთ საბჭოთა კავშირის მრეწველობა.

ვლ. ს.

# საბჭოთა ხელახალი არჩევნები საქართველოში.

### არჩევნებისათვის მზადება გურიაში.

საარჩევნო სამზადისი გურიაში დაიწყო 15 დეკემბრიდან და გაგრძელდება 10—25 თებერვლამდე.

სამაზრო საარჩევნო კომისიამ ჩამოიარა ყველა თემები, შეადგინა არჩევნების ჩატარების გეგმა, დაგზავნა ინსტრუქტორები ყველა სოფლებში და დაავალა სათემო საბჭოებს, რათა მათ მოაწყონ გლეხების კრებები და ჩააბარონ მათ თავიანთი განვლილი მუშაობის შესახებ ანგარიშები.

საარჩევნო კომისიები მოწყობილია ყველა თემებში, მათი რიცხვი უდრის 41-ს. თვით ოზურგეთში მოწყობილია სამაზრო საარჩევნო კომისია, რომელიც ამავე დროს უხელმძღვანელებს ოზურგეთის ქალაქის საბჭოს არჩევნებსაც.

25 თებერვლიდან განზრახულია შეუდგენ უშუალოთ არჩევნების ჩატარებას.

### ახალციხის მაზრაში.

სულ მაზრაში უკანასკნელი ცნობებით ითვლება 8.300 მცხოვრები. თანახმად შინ. საქ. სახ. კომის. ინსტრუქციისა საარჩევნო სამზადისი მაზრაში დაიწყო დეკემბრის შუა რიცხვებიდან. მაზრა დაყოფილია 19 სათემო საარჩევნო უბნათ და 63 საარჩევნო პუნქტათ. საარჩევნო პუნქტების სიმრავლე მიეწერება იმას, რომ ზოგიერთი სოფლები ძლიერ დაშორებული არიან სათემო ცენტრს და რომ მოსახლეობას არ მოუხდეს შორს წასვლა არჩევნებში მონაწილეობის მისაღებათ იქვე, სოფლებში დადგმულ იქნება საარჩევნო ყუთები.

სამაზრო აღმასკომმა თავის წარმომადგენლები დაგზავნა ყველა სოფლებში, სადაც ისინი მოხსენებებს აკეთებდენ მათი წარსული და მომავალი მუშაობის შესახებ.

გლეხები მხურვალე მონაწილეობას იღებდნენ საარჩევნო სამზადისში და მოითხოვდენ საჭირო ზომების მიღებას მათი ყოფა-ცხოვრების გასაუმჯობესებლათ.

წინასწარ კამპანიაში გლეხების ცხოველი მონაწილეობა ამტკიცებს, რომ არჩევნები ჩატარდება დიდი წარმატებით.

# სამხედრო საქმე.

## ძიება არმიის თვალი და ყურია.

### რა ადგილი უჭირავს ქვეითა ძიებას სხვა და სხვა ძიებათა შორის.

თანამედროვე ავიაცია საკმაოდ გაუმჯობესებულია და კაცი იფიქრებდა, რომ სხვა გვარი ჯარების—ცხენოსნისა და ქვეითის ძიება სრულიად უნდა მოიხსნას. ერთის მხრივ გეჩვენება, რომ იმაზე ადვილი არაფერია—გადაფრინდე ჰაეროპლანით, დაათვალიერო მტრის ზურგი ან ფრონტი და შეჰკრიბო ცნობები.

მაგრამ არმიის თანამედროვე შეიარაღებამ, რომელიც იძლევა შესაძლებლობას სულ მოკლე დროში გასროლილ იქნას დიდძალი ტყვია და ყუმბარა, აიძულა ჯარები, ზედმეტი მსხვერპლის ასაშორებლად, მიმართონ გაჭრილ წყობილებას და შენიღბონ.

აი ეს ზომები მეტად აძნელებს საჰაერო ძიების წარმოებას, ხოლო ხშირად ხდის მას სრულიად შეუძლებლად და უვარგისად, ვინაიდან მფრინავი დიდი სიმაღლიდან ვერაფერს ხედავს, ხოლო მიწაზე დაშვება, ტყვეს ჩაგდება ან ადგილობრივი მცხოვრების დაკითხვა მას არ შეუძლია.

ამას გარდა მფრინავის მოტყუვლება ადვილია ყალბი მიმართულების აღებით: მაგალითად მოპირდაპირის ჯარები მიდიან დღისით ერთის მიმართულებით, ხოლო ღამით კი ბრუნდებიან სულ სხვა მიმართულებით. მფრინავმა დაინახა, თუ საით მიდის დღისით მტრის ჯარები და გაუგზავნა უფროსს ცნობა, ხოლო უფროსმა მოამზადა ჯარები მტრის დასახვედრად, მაგრამ ის უკვე იმ ადგილას აღარ აღმოჩნდა.

არის აგრეთვე შემთხვევა, როცა ჯარები მოძრაობენ დღისით ტყიან ადგილებში, კარგად ინიღბებიან და მოძრაობენ გაჭრით. ხოლო თუ მოუხდებათ სანგრების თხრა ახალ ამოთხრილ მიწას მოასხამენ ადგილ-მდებარეობის შესაფერ ფერის საღებავს. ამ შემთხვევაში რამდენიც არ იტრიალოს აეროპლანმა, მოპირდაპირის ა[illegible] მოჩენა არ შეუძლია.

ყოველივე ამის გარდა ავიაციას აქვს კიდევ ზოგიერთი ნაკლი. საჰაერო ძიება არ შეიძლება წარმოებულ იქნას გამუდმებით: აეროპლანს არ შეუძლია თან წაიღოს იმდენი ბენზინი, რომ იფრინოს რამდენიც მას უნდა. ამასთან ამინდიც ხშირად ხელს უშლის მას ფრენაში.

რაც შეეხება ცხენოსან ძიებას, ვერც ამას შეუძლია ყველგან და ყოველთვის აწარმოოს ძიება. ერთი რომ ცხენოსან მძიებელს არ შეუძლია გაიაროს ზოგიერთი ადგილები (ჭაობი, სადაც ცხენი იფლობა, ხშირ ტყეში, ძლიერ აღმართზე და სხვა). ამასთან ცხენოსანი ადვილი შესამჩნევია, რის გამოც მას არ შეუძლია გადაიაროს მოპირდაპირის სადარაჯო ხაზზე. ხოლო მტრის შესახებ მნიშვნელოვანი ცნობების დაგროვება შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა ძიება გადადის მოპირდაპირის ზურგში ან ფრთებზე.

ზემომოყვანილ მაგალითებიდან სჩანს, რომ ქვეითა ძიებას დიდი მნიშვნელობა ეძლევა, ვინაიდან ეგუება რა ადგილმდებარეობას, მას შეუძლია შეუმჩნევლად გაძვრეს მტრის დამცველ ნაწილებს შორის და მოექცეს მისი მთავარი ძალების მოთავსების ცენტრში. თუ რომ მოპირდაპირე აღმოაჩენს ჩვენს ქვეითა მძიებელ ჯგუფს, უკანასკნელს შეუძლია გამოიჩინოს შეუდრეკლობა, სძლიოს მოპირდაპირის მცველი ნაწილების წინააღმდეგობა, შევიდეს მტრის მოთავსების სიღრმეში და ამრიგად აასრულოს მასზე დაკისრებული ამოცანა.

ი. ბ.

# კომკავშირელნო, სმენა!

კომპარტიის რეზერვი-კომკავშირი უკანასკნელ ხანებში საგრძნობლად გაიზარდა და მის რიგებში ამ ჟამად ირიცხება ერთ ნახევარ მილიონზე მეტი წევრი. კომკავშირმა შესძლო თავის რიგებში შეეკავშირებია საუკეთესო ნაწილი მშრომელი ახალგაზრდობისა, როგორც ქალაქის პროლეტარულ, აგრეთვე სოფლის ულარიბეს გლეხობისგან.

რიგის ყველა კომკავშირელი მომავალში ღირსეული კომუნისტი უნდა გახდეს. აი ის უმთავრესი მიზანი, რომელიც უნდა ახასიათებდეს ყველა ერთგულ წევრს კომ-კავშირისას. კომკავშირელმა ყოველთვის პირველ რიგში უნდა დააყენოს ასეთი კითხვა: საით და რომელ რიგებში უნდა გადავიდეს კომკავშირიდგან და როგორი მომზადებით ის გადადის კომპარტიის რიგებში, რომელიც აერთიანებს და ხელმძღვანელობას უწევს მრავალ მილიონიან საბჭოთა კავშირის რევოლიუციონურ პროლეტარიატს და ულარიბეს გლეხკაცობას. მართო ამ ორ სიტყვაში არ გამოიხატება კომპარტიის ხელმძღვანელობა მუშათა კლასზედ, კომპარტია მუშათა კლასის ყოველდღიურ ბრძოლასაც ხელმძღვანელობს. აი ის დიდი მოვალეობა, რომელიც დაკისრებულია კომპარტიაზე მშრომელთა განთავისუფლებისათვის.

ასეთი პარტიის რეზერვათ ითვლება კომკავშირი, რომლის წევრები მომავალში შეავსებენ კომპარტიის რიგებს და ხელმძღვანელობას გაუწევენ მუშათა კლასის საერთო ბრძოლას. და როდესაც ასეთია მომავალი ყოველი კომკავშირელისა აუცილებელი იქნება თითეულმა მათგანმა გამოიჩინოს მეტი ენერგია და მუყაითობა ყოველ საქმეში, პოლიტიკურ მომზადებისა და აგრეთვე სხვა დარგებში, სამაგალითო უნდა იყოს მისი ყოველდღიური მუშაობა და კომკავშირის წევრი ყოველთვის მაგალითის მაჩვენებელი უნდა გახდეს სხვა ახალგაზრდებისათვის.

აქნობამდე პარტიის, როგორც ქვედა ორგანიზაციები, აგრეთვე ყრილობებიც დიდ ყურადღებას აქცევდენ კომკავშირის მუშაობას და გამოქონდათ სათანადო დადგენილებები კომკავშირში მუშაობის გასატარებლათ. მაგრამ ამ ჟამათ კომკავშირის ორგანიზაციის გაზრდასთან ერთად გაიზარდა მისი იდეიური და ორგანიზაციული მოთხოვნილებაც.

ამ კითხვას საქ. მეოთხე პარტ-ყრილობამაც მიაქცია ყურადღება და მისი მომავალი ხელმძღვანელობის გაძლიერების დარგში გადადგა სათანადო ნაბიჯები.

კომკავშირის მუშაობას საკავშირო კომპარტიის მე-14 ყრილობამ კი განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია, სადაც ამ საკითხზე ვრცელი მოხსენებით გამოვიდა ამხ. ბუხარინი. მან ყოველმხრით გააშუქა კომკავშირის წარსული მუშაობა და აღნიშნა ის დეფექტები, რომელსაც ადგილი ჰქონდა წარსულ მუშაობაში. ამხ. ბუხარინის მოხსენებიდან გამოირკვა, რომ დისციპლინის დარღვევას კომკავშირში ქონდა საგრძნობი ადგილი, რაც კომკავშირის, როგორც პარტიის რეზერვისათვის ყოვლად დაუშვებელია. მე აქ არ მოვიყვან ციფრებს, რომელიც აღნიშნული იყო ამხ. ბუხარინის მოხსენებაში, რადგან ეს კარგად უნდა იცოდეს თითეულმა კომკავშირის წევრმა.

საკავშირო პარტ-ყრილობამ, როგორც ზევით ვთქვით დიდი ყურადღება მიაქცია მომავალში კომკავშირში მუშაობის საქმეს და სათანადო დირექტივებიც მისცა ადგილობრივ ორგანიზაციებს მის ცხოვრებაში გასატარებლად.

როდესაც პარტიის უმაღლესი ორგანო—ყრილობა, რომელიც დამცველია პროლეტარიატის და გლეხობის ინტერესების, რომელიც ხელმძღვანელობას უწევს ახალ სახელმწიფოს—მუშურ-გლეხურ ხელისუფლებას, მიმართავს და ავალებს ადგილობრივ ორგანიზაციებს, რომ მეტი და მეტი ყურადღება მიაქციოს უკანასკნელმა კომკავშირის რიგების გაძლიერება-განმტკიცებას, დარწმუნებულ უნდა ვიყოთ, რომ ეს ორგანიზაციები შესძლებენ მის ცხოვრებაში გატარებას.

ამავე დროს ყველა კომკავშირელი, როგორც მომავალი კომუნისტი, უნდა დადგეს თავის რიგებში, ისე როგორც შეშვენის ლენინის პარტიის მომავალ რეზერვს.

მაშ ასე ამხ. კომკავშირელნო! კარგად იცოდეთ, რომ პირველი იარაღი, რომელიც გვარგუნებს მომავალ ბრძოლებში გამარჯვებას არის ლენინისებური დისციპლინით განმტკიცება, ლენინიზმით შეიარაღება.

ჩვენი წითელი არმიის რიგებში მყოფ კომკავშირელთა მოვალეობა იქნება კარგად შეისწავლოს მე-14 პარტყრილობის დადგენილება კომკავშირის მუშაობის მომავალ ამოცანებზე და გაატაროს ის ცხოვრებაში მთლიანად.

მეორე წერილში ვრცლად შევეხები კომკავშირის მუშაობას წითელი ჯარში მე-14 პარტ-ყრილობის დადგენილების თანახმად.

ს. ლომიძე.

# ქვეითი ჯარის მოგერიებითი მოქმედება.

მოგერიებითი გარემოებაში ყოველთვის არაა ხელსაყრელი შეტევაზე გადასვლა. ხშირად უმჯობესი იქნება მხოლოდ მოგერიების წარმოება. ისეთი შემთხვევები, როცა ნაწილები გადადიან მოგერიებაზე, სხვა და სხვა ნაირია. მაგალითად, ჯარები არ არიან მზად შეტევაზე გადასავლელად და მათთვის საჭიროა დროს მოგება, რამდენიც აუცილებელია შეტევაზე გადასვლის მოსამზადებლად. ან და შეიქნა ისეთი მდგომარეობა ფრონტზე, რომ ერთ ალაგას თავმოყრილია ჯარების დიდი რაოდენობა, ხოლო სხვა ადგილებში დარჩენილია მცირე, უმნიშვნელო რაოდენობის ნაწილები. და აი ამ ნაწილებს დროებით მოუხდებათ მოგერიების წარმოება, რათა მთავარ უბანზე შესძლონ ჩვენმა ჯარებმა შეტევის წარმატებით დაწყება. ხშირად ეკისრება ამა თუ იმ ჯარის ნაწილს არ დაუთმოს მტერს რომელიმე მნიშვნელოვანი ზღვარი; ამ შემთხვევაში ნაწილი მაგრდება აქ და აწარმოებს მოგერიებას.

ქვეითი ჯარის ყველა მოგერიებით მოქმედება გამოიხატება მტრის შემოტევისა და იერიშის შემუსვრაში. თუ რომ მტერი შემოიჭრება მოგერიების მაწარმოებელ ჯარის მოთავსებაში, მისი დამარცხება ადვილია მასზე მარჯვე ცეცხლის შეყურსვით და მოხდენილი იერიშებით რეზერვებიდან.

ჯარები, რომლებსაც უკავიათ ადგილის ზოლი მოსაგერიებლად, თავსდებიან შემდეგი წესით: წინ თავსდება დამცველი ნაწილები, რომლებიც შეადგენენ დაცვის ზოლს. ნაწილები, რომლებიც მოთავსებული არიან მოხერხებულ წერტებზე და რომელთა დანიშნულებაა საგრძნობლად დაჭკრას მტერს, შეადგენენ მთავარ წინააღმდეგობის ზოლს; მოგერიების უბნის სიღრმეში მოთავსებულია რეზერვები და დამხმარე ნაწილები, რომლებიც ეხმარებიან მოვარდნილ მტრის შემუსვრაში.

ყველა ამ ნაწილებს აქვთ განსაზღვრული ამოცანა—გასტეხონ მტრის შემოტევის მადა და თვით გადავიდენ შეტევაზე. ეს ამოცანა შეიძლება წარმატებით იქნას ასრულებული მხოლოდ მაშინ, როცა თვითეულ მეთაურსა და მეომარს ეცოდინება მოგერიებ[illegible] ეს დროებითი შეჩერებაა მოძრაობის და რომ მარჯვე ცეცხლი, გამჭრიახობა და დისციპლინა მოგერიების მაწარმოებელ ჯარების გამარჯვების თავდებია.

ი. ბ.

# ჩვენი პარტიის და კომკავშირის ცხოვრება

## ენერგიულად მუშაობდენ.

5-თე ლეგიონი.

იანვრის უკანასკნელ რიცხვებში შესდგა 5-თე ლეგიონის ბიურო-კოლექტივის კრება, რომელზედაც გაკეთებული იქნა მოხსენება ბიურო-კოლექტივის მუშაობისა და პარტკომისიის ანგარიშების შესახებ.

ბიურო კოლექტივის გარშემო მომხსენებელმა აღნიშნა ყველა ის სიძნელენი მუშაობაში, რომელსაც იწვევდა ცვალებად შემადგენლობის პერიოდულად გამოწვევა და განსაკუთრებული ამოცანები. გამოირკვა, რომ ბიუროს საკმაო შედეგებისათვის მიუღწევია ზაფხულის განმავლობაში ცვალებადელთა შორის მუშაობის დროს. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა მისგან მასიური მუშაობის გაღრმავებას, როგორიცაა: პოლიტსაგანმანათლებლო მუშაობა, ლენკუთხეებისა და კედლის გაზეთების გაჯანსაღება, დისციპლინის განმტკიცება და სხვა.

შემდეგი მუშაობა ბიუროს უწარმოებია ახალწვეულებში და წერტებზე. ამ უკანასკნელზე მუშაობა ძლიერ ძნელი იყო, რადგან საგრძნობლად დაცილებული იყვნენ ლეგიონიდან და შესაფერი ხელმძღვანელობა შეუძლებელი იყო, მაგრამ შესაძლებლობის ფარგლებში აქაც უწარმოებია მუშაობა დამაკმაყოფილებლად.

ბიუროს მუშაობა კრებამ დამაკმაყოფილებლად სცნო და უსურვა მომავალში უფრო ენერგიულად მოქმედება.

შემდეგი მოხსენებით გამოვიდა დივიზ. პარტკომისიის მდივანი, რომლის მოქმედების ხაზი კრების მიერ სწორად იქნა ცნობილი.

სამხკორი მ. ჭ—ნია.

## დადგენილებას გავატარებთ ცხოვრებაში.

მე-2 ლეგ. მე-8 ასეული.

იანვრის უკანასკნელ რიცხვებში შესდგა 8-ვე კომუჯრედის გაერთიანებული კრება. დაესწრენ პარტიისა და ახკომკავშირის წევრები და უპარტიო წითელ არმიელები.

კრებას სხვათა შორის დაესწრენ ბათომის სხვადასხვა სამოქალაქო უჯრედებიდან მომაგრებული ამხანაგებიც. გაკეთებული იქნა მოხსენება უჯრედის სამი თვის მუშაობის შესახებ, 14-ტე პარტყრილობის შედეგებსა და სხვა საყურადღებო საკითხებზე.

კრება დაწვრილებით გაეცნო პარტყრილობაზე შექმნილ მდგომარეობას და ოპოზიციის შეცდომებს. მოხსენებამ ძლიერ კარგი შთაბეჭდილება დასტოვა დამსწრეებზე და ერთხმად დასდო ფიცი მთელი თავისი ენერგიით შეეცადონ ყრილობის დადგენილებათა ცხოვრებაში გატარებას.

ასეულის უჯრედის სამი თვის მუშაობაზე მოხსენება უდროობის გამო გადადებული იქნა შემდეგი სხდომისათვის.

სამხკორი კ. ხაჩო..ვი.

# ჩვენი წითელი ჯარის ცხოვრება და მუშაობა.

## ამხ. კ. ჭიჭინაძის ხსოვნას.

მე-5 ლეგიონის წითელ არმიელთა რიგებს ულმობელმა სიკვდილმა უდროოდ გამოაცალა უღარიბესი გლეხის შვილი, წითელ არმიელი ამხ. კ. ჭიჭინაძე.

ამხ. იყო რაჭის მაზრის ქვემო თლუღის მცხოვრები. ის ჯერ კიდევ 1921 წლიდან იწყებს ახკომკავშირში მუშაობას და ენერგიულ მუშაკათ ითვლებოდა.

1925 წლის ნოემბრის რიცხვებში ახალწვეულებთან ერთად ის მოხალისედ მოვიდა წითელ ჯარში. მას ესმოდ რომ წითელ არმიის და ა. ლ. კ. კ. რიგებში დგომით ის უდიდეს სამსახურს გაუწევდა მშრომელთა ინტერესების დაცვის საქმეს მიუხედავად იმისა, რომ დიდი ხნით არ ყოფილა ჩვენს რიგებში მან მაინც შესძლო თავისი წვლილის შეტანა წითელი არმიის მშენებლობის საქმეში და დაიმსახურა საუკეთესო ნდობა და ავტორიტეტი, მაგრამ უდროვო სიკვდილმა მას არ აცალა თავისი უდიდესი მიზნის შესრულება.

3 თებერვალს ჩვენი ლეგიონის მეთაურთა შემადგენლობამ და წითელ არმიელებმა უკანასკნელად გააცილეს საყვარელი ამხანაგი.

ჩვენი ლეგიონის წითელ არმიელები ვფიცავთ, რომ იმ მიზანისათვის, რომელსაც ამხ. კ. ჭიჭინაძე ემსახურებოდა, ჩვენც ვიბრძოლებთ მტკიცედ და შეურყევლად.

ეს იქნება მისი ხსოვნისათვის საუკეთესო პატივისცემა.

მ. ჭყონია.

## ვამტკიცებთ დისციპლინას.

მესამე ლეგ. საკავშირო ოცეული.

ჩვენი ნაწილი თანდათან აღორძინების გზაზე დგება. განსაკუთრებით აღსანიშნავია ნაწილში ამხანაგური და შეგნებული დისციპლინა, რომელიც მტკიცედ არის დაცული. ოცეულის მეთაური ძლიერ კარგ განწყობილებაშია წითელ არმიელებთან. ხშირად მოდის ჩვენთან თავისუფალ საათებში და აწყობს საუბრებს სხვა და სხვა საკითხების გარშემო. უსურვებთ როგორც ოცეულის უფროსს ისე სხვა ჩვენ მეთაურებს განეგრძოთ თავიანთი მუშაობა და ჩვენთან ასეთი ამხანაგური დამოკიდებულება, რაც უფრო ამაგრებს სამხედრო დისციპლინას.

სამხკორი პ. პაიჭაძე.

## დრამატიულ დასს სძინავს.

მე-2 ლეგიონი.

ჩვენს ლეგიონს აქვს კინო თეატრი და აგრეთვე ყავს დრამატიული დასიც, მაგრამ მიუხედავად ყველა ამაებისა, აგერ ერთი თვე სრულდება თითქმის, რომ ერთი წარმოდგენა და არც ერთი კინო—სურათი არ გაშვებულა. მიზეზი არის დრამატიული დასი, რომელსაც სძინავს და არ ვიცით როდის გაიღვიძებს. დროა გამოფხიზლდენ და ამოქმედდენ ეს ამხანაგები.

წ. არმ. ბლიკვაძე.

## ვემზადებით 1905 წ. დაბ. წვევამდელების შესახვედრად.

4-ხე ლეგ. 8-ვე ასეული.

ჩვენი ასეულის უფ-პოლიტშემადგენლობა და წითელი არმიელები ენერგიულად ემზადებიან ხსენებულ წელში დაბადებულ წვევამდელების შესახვედრად. მიღებულია ყოველგვარი ზომები საქმის მოსაწესრიგებლად, რომ სწავლების დროს არ დაგვჭირდეს წესდებების ძებნა, მისი ფურცვლა; ასევე ემზადებიან ძირედი შემადგენლობის წითელ—არმიელები, რომ ისინი გამოგვადგენ მომავალი მეცადინეობის დროს ათეულის უფროსებათ, რასაც ისინიც გულმოდგინეთ ეკიდებიან და ყველაფერს კარგად ითვისებენ.

იმედი გვაქვს მომავალ მუშაობას წვევამდელებთან უფრო მომზადებულად შევხვდებით და შესაფერ ნაყოფსაც მივიღებთ.

სამხკორი გაყინული.

## საჭიროა წრეების დაარსებაც.

2-ე საკავშირო ასეულის სკოლა.

2-ე საკავშირო ასეულში მეორედ ქართ. დივიზიების ნაწილებიდან მოვლენილი არიან წითელ არმიელები საკავშირო საქმის შესასწავლ სკოლაში.

სისტემატიური მეცადინება უკვე დაწყებულია. უფროსები ენერგიულად ხსნიან ყველა საჭირო საგნებს; თუ როგორი მნიშვნელობა აქვს კავშირის საქმეს ომის დროს, რა როლს ასრულებს ის და სხვა.

მოვლენილი წითელ არმიელები გულმოდგინეთ ვეკიდებით მეცადინეობას. ვცდილობთ რაც შეიძლება კარგად შევისწავლოთ ეს საქმე და ისე დავბრუნდეთ ჩვენს ნაწილებში.

ერთია მხოლოდ, სკოლაში არ არსებობს სხვა და სხვა ხასიათის წრეები, რასაც ჯეროვანი ყურადღება უნდა მიექცეს ამხანაგების მიერ.

სკოლაში მეცადინეობის დროსაც საჭიროა წრეები და იქ მუშაობაც.

წ. არმ. გოგლიძე.

## კარგი იქნება ამ წვრილმანსაც მიექცეოდეს ყურადღება.

1-ლი საკავშირო ასეული.

ჩვენი ასეული როგორც იქნა მოეწყო ძველი ბინიდან ახალზე გადასვლის შემდეგ.

გავაჩაღეთ კულტურული და სპეციალური მუშაობა. მოეწყო ლენინის კუთხე, სხვა და სხვა წრეები და თვითმოქმედებითი ორგანიზაციები. ყველგან სიცოცხლეა და მუშაობით დაინტერესება. სამნეო ნაწილის უფროსმა ყოველგვარი ზომები მიიღო ასეულის უზრუნველსაყოფად, მაგრამ ერთი წვრილმანი მაინც არის დარჩენილი, რომელიც ცოტა არ იყოს უკმაყოფილებას იწვევს წითელ არმიელებში: არა გვაქვს ადუღებული წყლის გადმოსატანად ჩაიდანები. წითელ არმიელებს კრუშკებით უხდებათ სირბილი წყლის მოსატანად.

კარგი იქნება სამნეო ნაწილის უფროსი ამასაც მიაქცევდეს ყურადღებას და შეიძენდეს ჩაიდანების საკმაო რიცხვს.

სამხკორი აჭარისწყლისპირელი.

## ჩვენც გვექცევა ყურადღება.

თელავის სამხ. სამაზრო კომის. წითელ არმიელები.

აღნიშნულ კომისარიატში გადაგზავნილი ვართ რამოდენიმე წითელი არმიელი, რომლებიც მიუხედავად იმისა, რომ დავცილდით ნაწილში წარმოებულ კულტურულ-პოლიტიკურ და სამხედრო მეცადინეობას, მაინც არ ჩამოვრჩებით სხვებს ამ მხრივ.

სამხედრო კომისარი დიდ ყურადღებას გვაქცევს. მოგვიწყო ლენინის კუთხე. მოგვდის ყოველგვარი ჟურნალ-გაზეთები და განსაკუთრებით სისტემატიურად ვღებულობთ გაზ. „წითელ არმიელს". ამხანაგი ხშირად გვაწვდის ახალ-ახალ პოლიტიკური შინაარსის ბროშურებს. თვითონაც ხშირად მოდის ჩვენთან და გვასწავლის, გვესაუბრება და გვამეცადინებს.

ამხანაგის ასეთმა მოპყრობამ დიდათ გაგვამხნევა. ჩვენც ვცდილობთ უნაყოფოდ არ ჩავაროთ მისი ასეთი შრომა და რაც შეგვიძლია ენერგიულად ვეკიდებით ყველაფრის შესწავლის საქმეს.

სამხკორი ან. სარჯველაძე.

## ტერნაწილების მოკლე ვადიანი შეკრება.

### რა საჭიროა შეკრება.

ტერნაწილების საბრძოლო მომზადება დღემ ს მდგომარეობდა უმთავრესად წვევამდელთა მომზადებაში, ახალწვეულთა ყაზარმულ სწავლებასა და საერთო შეკრებებში.

მუშაობის ყველა ეს სახეები ჩვენს ნაწილებში საკმაო კარგადაა დაყენებული. მაგრამ ამაზე გაჩერება არ შეიძლება, ვინაიდან ხანგრძლივი დრო ერთი შეკრებიდან მეორემდი მნიშვნელოვანია, რომ ცვალებადელს ავიწყდება მეორე შეკრებამდი ბევრი რამ იქედან, რაც წინა შეკრებაზე შეუძენია. ხოლო იმავ დროს კი ტერნაწილების საბრძოლო მზადება და ცოდნა არავითარ შემთხვევაში არ უნდა სუსტდებოდეს.

### ვის იწვევენ შეკრებაზე.

მოკლევადიან შეკრებაზე იწვევენ ცვალებად შემადგენლობის ყველა ოთხივე ჰასაკს, ე. ი. 1899, 1900, 1901 და 1902 წლებში დაბადებულ უმცროს მეთაურთა და წითელარმიელთა შემადგენლობის პირებს.

### რა მიზანს ისახავს შეკრება.

წარსულ წელს საერთო შეკრება გაიარა მხოლოდ 2 უმცროს ჰასაკმა, ხოლო უფროსი ორი, ე. ი. 1899 და 1900 წლებში დაბადებულები ან არ ყოფილან სამხედრო სამსახურში, ან და დიდი ხანი არ მიწვეულან სამსახურში. აი რატომაა შეკრებათა მიზანი სხვა და სხვა გვარი.

1901 და 1902 წლებში დაბადებულთათვის შეკრების მიზანია გაიმეორონ და განამტკიცონ სამხედრო ცოდნა (უმთავრესად ტაქტიკური—სასროლო მომზადება), რომელიც მიუღიათ წარსულ საერთო შეკრებებზე.

თავისთავად გასაგებია, რომ წინა მომზადების ყველა ნაკლულევანებანი უნდა გამოსწორებულ იქნან შემდეგ შეკრებებზე.

1899 და 1900 წლებში დაბადებულები, როგორც სამხედრო სწავლა გაუვლელი, გაიწვევიან მოკლევადიან შეკრებაზე, რათა გაეცნონ სამხედრო საქმისა და ტერიტორიალმშენებლობის დაწყებითი ცოდნას.

მოკლევადიან შეკრებამ აგრეთვე უნდა შთაუნერგოს შეგნებაში ცვალებადელს, რომ ის იმყოფება ნამდვილ სამხედრო სამსახურში და წარმოადგენს განსაზღვრულ ჯარის ნაწილის წითელ არმიელს.

ამასთან ერთად მოკლევადიანი შეკრება აძლევს საშუალებას ტერნაწილების ძირითად შემადგენლობას ახლოს გაეცნოს და დაუკავშირდეს თავის ცვალებად შემადგენლობას.

### როდის ჩატარდება მოკლე ვადიანი შეკრება.

ქართული ნაწილებისთვის პირველი შეკრება დაიწყება მარტის ბოლო რიცხვებიდან.

რომ ცვალებადელი რაც შეიძლება ნაკლებ დროთი მოსწყდეს ჩვეულებრივ შრომას, შეკრება ტარდება ტერნაწილების კადრების სამყოფ წერტებზე, ასეულების ცენტრებში.

### მთელი ყურადღება შეკრებას.

მაშასადამე მოკლე ვადიანი შეკრების მიზანია დაიცვას წითელი არმიის მუდმივი საბრძოლო შემჭიდროება და საბრძოლო ძლიერება.

აქედან ცხადია, რომ შეკრებას უნდა მიექცეს მეტად სერიოზული ყურადღება, როგორც კადრის, ისე ცვალებად შემადგენლობის მხრივ მით უფრო, რომ ეს შეკრება ჩვენში პირველად ტარდება.

ქ. ვ.

## სასურველი ნაბიჯი.

მე 6 ლეგიონი.

მე-6 ლეგიონის კლუბის გამგეობის მიერ მიმდინარე წლის დასაწყისში გამოყოფილი იქნა 25 აქტიური ამხანაგი და დაარსდა სკოლის გარეშე მუშაობის პროპაგანდის კურსები, რომლის მიზანი არის წრის წევრების მომზადება, ამავე ლეგიონის წერტების ბიბლიოთეკარებად; წრეს მიზნად აქვს დასახული, როგორც ბიბლიოთეკის ათი წილადი კლასიფიკაციის სისტემით წარმოება და საამისო მუშაობა, აგრეთვე საკლუბო და მისი ფართე მნიშვნელობის მეთოდების შეთვისება.

წრის მეცადინეობა სწარმოებს სისტემატიურად ყოველ დღეს, საღამოს 6-დან 7-მდე. ლექტორები პოპულიარულ ენაზე იძლევიან ყოველგვარ ახსნა-განმარტებას და მსმენელებიც ადვილად ითვისებს გადმოცემულს.

კლუბის გამგეობის მიერ ასეთი ნაბიჯი გარანტიას გვაძლევს იმისას, რომ აღნიშნული კურსის მსმენელები, როდესაც ისინი დაიგზავნებიან წერტებზე ბიბგამგეებად, შესძლებენ წვევამდელთა შორის კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის წარმოებას ადგილებზე, ბიბლიოთეკებსა და კლუბებში.

წ. არმ. ი. ჭოჭუა.

**ამხ. ამხ. წითელარმიელებო, გამოიწერეთ და გაავრცელეთ თქვენი გაზეთი „წითელი არმიელი"**

# ᲡᲐᲛᲮᲙᲝᲠᲘᲡ ᲙᲣᲗᲮᲔ

## ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲡᲐᲛᲮᲙᲝᲠᲔᲑᲡ.

(ყოფილ სამხკორისაგან—ეხლა მუშკორი).

1903 წელში დაბადებულ ამხ. წითელ არმიელებო!

წითელ არმიის რიგებში ყოფნის დროს მე ვიყავი სამხკორი. პირველ ხანებში ჩვენი წრე ძლიერ სუსტად მუშაობდა, რადგან ჩვენთვის ნათელი არ იყო სამხკორთა მუშაობის მიზნები და ამოცანები.

მაგრამ შემდეგში საქმე თანდათან გამოსწორდა. ჩვენ, სამხკორები უდიდეს ყურადღებას ვაქცევდით ჩვენი ლეგიონისა და ასეულების აღმშენებლობას და მათ ყოფა-ცხოვრებას, რის შესახებ შემდეგ ვაშუქებდით ჩვენი ნაწილის კედლისა და სადივიზიო გაზეთებში. ჩვენ ვწერდით, როგორც მიღწევებზე, ისე ნაკლზე. ჩვენი წერით მიღწევებს ვამტკიცებდით და ნაკლის შესახებ კი სათანადო ორგანოებს და პირებს მოუწოდებდით მის გამოსწორებას.

ასე ამ რიგად წითელი არმიის ნაწილებში ყოფნის ორი წლის განმავლობაში ჩვენ კარგად ვემზადებოდით და მართლაც ბევრი შევიძინეთ აქ წითელ არმიელებმა და მათ შორის კერძოდ მეც. მე აქ ვისწავლე, თუ როგორ უნდა მიუდგე ყოველ ფაქტს და როგორ უნდა გამოვიტანო აქედან სწორი დასკვნა· მე შევითვისე, რომ სამხკორი არის პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების დამხმარე და სხვა.

უვადო შვებულებაში წასვლის შემდეგ მე არ დავივიწყე წითელ არმიაში მიღებული ცოდნა და ვიყენებ მას საქმეში. მე ეხლა ვწერ ხშირად კორესპონდენციებს ცენტრალურ და ადგ. გაზეთებში და ამით ვიხდი ჩემს წმინდა მოვალეობას.

ნაწილებში მყოფ წითელ არმიელებო და სამხკორებო, მოგმართავთ თქვენც, რაც შეიძლება თავდადებით იმუშაოთ სამხკორთა წრეებში, შეისწავლოთ სამხკორთა მუშაობის ამოცანები, კარგად მოემზადოთ და ამით ხელი შეუწყოთ წითელი არმიის განმტკიცების საქმეს.

ამასთანავე ერთად გახსოვდეთ, რომ ეს მუშაობა და აქ მიღებული ცოდნა თქვენ გამოგადგებათ სამოქალაქო ცხოვრებაშიდაც.

ყოფილი სამხკორი

**ტორონჯაძე.**

# ᲐᲛᲑᲔᲑᲘ ᲡᲝᲤᲚᲔᲑᲘᲓᲐᲜ

— **სოფ. ხელისაში** (გორ. მაზრა) თანახმათ გლეხების შუამდგომლობისა გაიხსნა საფოსტო განყოფილება.

— **წითელი ჯვარის** სიღნაღის განყოფილებამ ღარიბ გლეხებს აღმოუჩინა საექიმო დახმარება და დაახარჯა 889 მანეთი.

— **აჭარაში** საქონლის გასაშენებლათ საქ. სასოფლო-სამეურნეო ბანკმა გადასდო 10.000 მან.

— **ჯანსახკომმა** სოფ. ხულოში (აჭარა) საავათმყოფოს გასახსნელათ გადასდო 10 ათასი მანეთი.

# ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ.

— **დახმარება შვებულებაში წასულ წითელ არმიელებს.** ტფ. აღმასკომის სამხედრო სექციამ დაადგინა აღძრას შუამდგომლობა აღმასკომის პრეზიდიუმის საშუალებით, საქ. ცაკის წინაშე გადადებულ იქნეს 5 ათასი მანეთი შვებულებაში წასულ წითელ არმიელთა დასახმარებლათ.

— **ტფილისის აღმასკომის** სამხედრო სექციამ დაადგინა შეისწავლოს ჯარის რიგებში მყოფ ოჯახების მდგომარეობა.

— **მაისში.** ოზურგეთში გაიხსნება აბრეშუმის სართავი ქარხანა.

— **ფართალი აფხაზეთს.** სოხუმში გაიგზავნა ორი რონოდა ფართალი კოოპერატივებისათვის.

— **ფოსტა-ტელ.** უწყებამ გადასდო 135 ათასი მანეთი აჭარაში ტელეფონის მოსაწყობათ.

— **ტფილისი—ბათომი.** ა.-კ. ფოსტა-ტელ. უწყება შეუდგა ორ მავთულიან ტელეფონის ხაზის გაყვანას ტფილისს—ბათომ შორის.

# ᲠᲐᲓᲘᲝ ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘᲡ ᲐᲠᲛᲘᲔᲑᲨᲘ.

გერმანიაში რადიო მოყვარულთა რიცხვი თანდათან იზრდება არა მარტო ძირედ შემადგენლობის ოფიცრებს, არამედ სათადარიგო ოფიცრებს შორისაც. რადიო მოყვარულთა რიცხვი სწრაფად იზრდება აგრეთვე იმ პირთა შორის, რომლებიც წინად მსახურებდენ საკავშირო ნაწილებში.

ამერიკაში ყოველ 100 მცხოვრებლებზე მოდის სამი რადიო-მოყვარული. ამერიკის მთავრობა ამჟამად შეუდგა სამოქალაქო რადიო მოყვარულთა სამხედრო მიზნებისათვის გადამზადებას, რომლებიც საჭიროების დროს გამოდგებიან ჯარში სამსახურისათვის. ამ მიზნით ამერიკის არმიის უკანასკნელი მანევრების დროს მიწვეული იქნენ 150 რადიო მოყვარული.

საფრანგეთში და რუმინიაში და სხვა მთელ რიგ სახელმწიფოებში, რადიო სადგური თითეულ მსროლელ ლეგიონში არსებობს.

შემოდგომის მანევრების დროს ინგლისის არმიაში დივიზიებსა და ბრიგადებს შორის კავშირის დასაჭერად ხმარობდენ რადიო-ტელეგრაფის აპარატებს, რომელთა მოქმედების რადიუსი უდრიდა 35-100 კილომეტრამდე. რადიო ტელეგრაფებით სარგებლობდენ აგრეთვე ჰაეროპლანები ქვეითა ჯარსა და ტანკებთან კავშირის დაჭერისათვის 8-100 კილომეტრის მანძილზე.

**საფრანგეთის** საჰაერო მანევრების დროს 1924 წელში, ყოველგვარი ცნობების მიწოდება და ჰაეროპლანებს შორის კავშირის გაბმა ხდებოდა რადიოს საშვალებით.

დიდ ყურადღებას აქცევენ რადიო-საკავშირო საქმეს რიფები (მაროკოში). რიფების არმიაში თითეული რადიოზე მომუშავეს თან აქვს ჯიბის რადიო მიმღები აპარატი, რომელიც მიმაგრებული აქვთ ცხენის უნაგირზე. ანტენა (რადიო ტალღების დამჭერი ანძა) მიმაგრებულია ცხენოსანის ზურგზე და ან ეწყობა ისიც უნაგირზე.

თვით რიფების წინამძღოლი აბდ-ელ-ქერიმი რადიო—საქმის ერთი საუკეთესო მცოდნე და მოყვარულთაგანია. მის კაბინეთში მოთავსებულია მთავარი მიმღები და გადამცემი რადიო სადგურები. ისინი შეუწყვეტლად მუშაობენ დღე-ღამის განმავლობაში და არა თუ მარტო რადიო—სპეციალისტები მუშაობენ იქ, არამედ თვით აბდ-ელ-ქერიმიც ხშირად მუშაობს მანქანებზე, რის გამო მან ყოველთვის იცის ყველა უკანასკნელი ამბები.

ამერიკის სამხედრო ფლოტში რადიო-ტელეფონები შემოღებულია აგრეთვე წყალქვეშა ნავებზე სახმარად და მაშინაც შეუძლიათ გარეშე ქვეყანასთან კავშირში ყოფნა, როდესაც ნავები წყალქვეშ არიან.

# ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲐ

## ᲐᲢᲝᲛᲘᲡ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲡᲐᲨᲘᲨᲠᲝᲔᲑᲐ.

**გამოჩენილი** ინგლისელი მეცნიერი ასტონი აფრთხილებს კაცობრიობას ატომის დაშლის წინააღმდეგ, რომელიც შეიძლება დასრულდეს მთელი დედამიწის აფეთქებით.

იანვრის შუა რიცხვებში, ინგლისის რენდგენის კაბინეთის საზოგადოების დარბაზში, გამოჩენილ ფიზიკოს ასტონმა გააკეთა მოხსენება ატომის (ნივთიერების უუმცირესი ნაწილია, რომლის დანახვა არ თუ თვალით, არამედ უდიდესი გამადიდებელი ხელსაწყოებით—მიკროსკოპებითაც შეუძლებელია.) შინაგანი ენერგიის შესახებ.

საკითხი იმ გოლიათური—უუდიდესი ენერგიის შესახებ, რომელიც მომწყვდეულია ნივთიერების ატომში, ამ ენერგიის ჩვენი მრეწველობის პრაქტიკული საჭიროებისათვის მოხმარების საკითხი და ბოლოს ერთი ნივთიერების მეორე სახეში გადაყვანის საკითხი—სთქვა პროფ. ასტონმა—ამ ჟამად მსოფლიო მნიშვნელობის საკითხია, რომელიც მთელი თვისი სიმწვავით სდგას მთელი მეცნიერული და კულტურული ცხოვრების ცენტრში.

—მე უნდა ვსთქვა გადაჭრით, რომ ყველა ის ცნობები, თითქო ვერცხლის წყლისაგან შეიძლებოდეს ოქროს მიღება, რომელიც ასე გაახმაურეს გერმანელ და იაპონელ მეცნიერებმა, ყალბია. ეს საუკეთესოდ დაამტკიცა ამერიკელმა მეცნიერმა შედიდონიმ.

—შეგვიძლია თუ არა ჩვენ ამ ჟამად ატომის ხელოვნურად აფეთქება? შეგვიძლია თუ არა გამოვყოთ ატომის შინაგანი ენერგია? ამაზე მე შემიძლია გადაჭრით უპასუხო არა—ამ ჟამად შეუძლებელია. ატომის შინაგანი ნაწილების შემამტკიცებელი ძალები იმდენად გრანდიოზულია, რომ მათი დაძლევისათვის საჭიროა ათეული მილიონები ვოლტის ელექტრონული ენერგიის დახარჯვა. ეს კი შეუძლებელია ჩვენს დროს, ჩვენი ლაბორატორიების პირობებში.

—მეცნიერები ხშირად ოცნებობენ იმაზე თუ რა კარგი იქნებოდა, რომ შევსძლოთ ატომის შინაგანი ენერგიის მოპოება და მისი სურვილისამებრ მოხმარებაო . . . .

—**მაგრამ მე ვაფრთხილებ კაცობრიობას იმ საშინელ ძალის შეხებისაგან, რომელსაც ეწოდება ატომის შინაგანი ენერგია.**

—იცით თუ არა თქვენ, რომ იმ ენერგიის საშვალებით, რომელიც თავმოყრილია წყლის ერთ წვეთში, შეიძლება უდიდესი ჩაძირული გემის ამოტანა ოკეანის ძირიდან?

—ეგრედწოდებულ ახალი ვარსკვლავების (ამის შესახებ გაზ. „წითელ არმიელში“ იყო სათანადო ცნობები) საიდუმლოება, რომლებიც ხშირად გაიელვებენ ცის თაღზე იმაში მდგომარეობს, რომ ისინი სწორედ ამ ატომის შინაგანი ენერგიით ფეთქდებიან. ეს მით უფრო გამაფრთხილებელია ჩვენთვის.

—**და მწარე ღაცინვა სწორედ ის არისო—ამბობს ასტონი—რომ კაცობრიობის მთელი ყურადღება იქითკენ არის ამ ჟამად მიქცეული, რომ ააფეთქოს, დაანგრიოს და მტვრად აქციოს საკუთარი თავშესაფარი ჩვენი პლანეტა—დედამიწა.**

—მე არ მინდა ვინმე შევაშინო—სთქვა ასტონმა—მე ვიცი, რომ კაცობრიობის დაუსრულებელი წყურვილი ცოდნის შეძენისაკენ მეცნიერებს ყოველთვის დააინტერესებს და ეცდებიან ამოიცნონ ეს საიდუმლოება. მე მოუწოდებ მხოლოდ სიფრთხილისაკენ. ჩვენი პლანეტის ბედი იმყოფება ჩვენსავე ხელშიო.

# ᲕᲘᲜ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ?

თანახმად ამხ. სამსონ იმნაიშვილის გამოწვევისა, ვიწერ გაზეთ „წითელ არმიელს“ ყულიკარის თემის ქოხსამკითხველოსათვის თებერვლიდან სამი თვით და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს:

ქართულ შეერთებულ სკოლის მეთაურს ამხ. ჩიჩუას; ქართულ შეერთებულ სკოლის მეთაურს ამხ. ლისინოვს, მე-3 ქართულ ლეგიონის შტაბის უფროსს ამხ. ნოდიას, მე-2 ქართულ ლეგიონის შტაბის უფროსს ამხ. ჩიხლაძეს, მე-4 ლეგიონის ათასეულის მეთაურს ამხ. ბოსიკაშვილს.

1-ლ ქ. მ. ლეგიონის მე-5 ასეულის მეთაური

ი. ანთელავა.

# ᲞᲐᲡᲣᲮᲘ ᲨᲔᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲖᲔ.

**არმიელს.** გადასვლა ტერნაწილში არ შეგიძლიათ (ბრძანება 834—25 წ.)

**ო—ვს.** თქვენი წინანდელი სამსახური ნამდვილ სამხედრო სამსახურათ არ ჩაგეთვლებათ (სამხ-საზღვაო კომისარიატის ცირკულიარი № 71—25 წ.)

**მიროჩს.** თქვენ ცოლშვილს შეუძლია ისარგებლოს უფასო საექიმო დახმარებით სამოქალაქო სამკურნალოებში (კანონთა კოდექსი მუხ. 37.)

**ახალაშვილს.** სასოფლო-სამეურნეო გადასახადის დროს სარგებლობს თქვენი ოჯახი შეღავათებით (დებულება მთლიანი სას.-სამ. გადასახადის შესახებ 1925—26 წ. მუხ. მუხ. 29—30).

**გურჯს.** თქვენი ძმები მოვალენი არიან არჩინონ დედა, თუ ისინი ასე არ იქცევიან, დედას შეუძლია სახ. სასამართლოს საშუალებით მოსთხოვოს შვილებს რჩენა.

**როსნაძეს.** თანახმად საკავშირო ცაკის დადგენილებისა, 29 ოქტომბერი 1924 წ. ხე-ტყე უნდა მოგეცეთ 25—75% დაკლებულ ფასებში, ზოგიერთ შემთხვევაში უფასოდაც.

**ლექვეიშვილს.** დედის დასამარხი წ. ა. არ ეძლევა სამხედრო უწყებიდან (ბრ. № 1023—25 წ.)

**ლორთქიფანიძეს.** წახვალთ უვადო შვებულებაში ამა წლის შემოდგომაზე.

**ხონელიძეს.** თუ თქვენი მუდმივი სამსახურის ადგილიდან იყავით მივლინებული სხვა ადგილის წერტზე, იმ შემთხვევაში გეკუთვნით საათში 15 კაპ.

**დოლიძეს.** არ გეკუთვნით.

**მეფარეიშვილს.** სამსახურის გათავების შემდეგ შეგიძლიათ. ცნობებისთვის მიმართეთ მილიციის სამმართველოს.

**კუტუბიძეს.** 1924 წ. გამოწვეულებთან ერთად წახვალთ უვადო შვებულებაში 1926 წ. შემოდგომაზე.

**ბუაჩიძეს.** გადარიცხული იქნება ტერნაწილში,

# ᲩᲕᲔᲜᲘ ᲤᲝᲡᲢᲐ.

**ამხ. ბარათაშვილს** (1-ლი არტლეგიონი) თქვენი კორესპონდენცია „ბოეცის“ გამგეობის საყურადღებოთ“ გადაეგზავნა სათანადო ორგანოს,

**ამხ. ტ. მამალაძეს** (1-ლი არტ.) თქვენი წერილი „თვითმოქმედი ორგანიზაციები და კომკავშირის ჯგუფები“ არ დაიბეჭდება. თქვენ ლაპარაკობთ აქ საზოგადოთ იმაზე, რომ ხსენებული ჯგუფები ამ ორგანიზაციებში არ ღებულობენ აქტიურ მონაწილეობას, რაშიდაც რედაქციას არ შეუძლია დაგეთანხმოთ. სხვაა თუ ამას თქვენს ნაწილში აქვს მხოლოდ ადგილი. მაშინ მოიწერეთ კომკავშირის ჯგუფებისა და ამ ორგანიზაციების დამოკიდებულების შესახებ თქვენი ნაწილიდან, რასაც მოვათავსებთ.

**ამხ. ჩ. მეთვალყურეს** თქვენი კორესპონდენცია „საჭიროა ასეთ მოვლენებს ყურადღება მიექცეს“ გადაეგზავნა ნაწილის უფროსს.

**ამხ. ვ. ნოზაძეს** (5-თე ლეგ.) თქვენი კორესპონდენცია „ჩვენი ლენინის კუთხე“ არ დაიბეჭდება. სწერეთ არსებითად თუ რა კეთდება კუთხეში და როგორ მეცადინეობთ.

**ამხ. სიმართლის მთქმელს** (4 ხე ლეგ.) კორესპონდენცია საპარიკმახეროს შესახებ შეიძლება მოათავსოთ ადგილობრივ კედლის გაზეთში.

**ამხ. ფანცულაიას** (პოლიტსკოლა) და ვაჩეიშვილს (საკავშირო) თქვენი კორესპონდენციები ლენინის გარდაცვალების წლის თავის გარშემო დაგვიანებულია. არ დაიბეჭდება.

# ᲕᲘᲡ ᲐᲥᲕᲡ ᲡᲐᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒᲝ?

1-ლ ლეგიონის 8-ვე ასეულის უჯრედში შემოტანილი აქვს განცხადება კომკავშირიდან პარტიის კანდიდატათ გადარიცხვის შესახებ ამხ. მიხ. ოჩიგავას (კომკავშირის წევრი 1919 წლიდან სოფ. მეჯითის მცხოვრები, სენაკის მაზრა). თუ ვინმეს რაიმე საწინააღმდეგო აქვს ამის შესახებ, გთხოვთ გვაცნობოთ წერილობით ან სიტყვიერად 1-ლი ლეგ. 8-ვე ასეულის უჯრედში.

ნ. დ. ს. ც. სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. № 3. დრ. პასუხისმგებელი რედაქტორი მ. სიმონგულოვი